ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2171582

ნომერი: AR1338740

თარიღი : 01.09.2015

გაცემის თარიღი : 04.09.2015

გაცნობის თარიღი : 08.09.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტრო "დიდუბის" მიმდებარედ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ტრისტან დვალი პ/ნ 01006005412
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 69

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობების მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, მეტრო „დიდუბის“ მიმდებარედ, შ.პ.ს „დიდუბე“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #051/007), დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობების მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების შესახებ 2014 წლის 09 ოქტომბერს გაცემულ №1533214 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას წარმოდგენილი ფოტომონტაჟის საფუძველზე.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური”.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შ.პ.ს „დიდუბე“–ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.13.03.051.007. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან– რეგ. N 882015320187 11/06/2015 წ; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი; საპროექტო ფოტომონტაჟი და ესკიზური ნახაზი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, მეტრო „დიდუბის“ მიმდებარედ, შ.პ.ს „დიდუბე“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #051/007), დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობების მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების შესახებ 2014 წლის 09 ოქტომბერს გაცემულ №1533214 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას წარმოდგენილი ფოტომონტაჟის საფუძველზე.

გაცნობებთ, რომ საჭიროა ქალაქის პირველივე მოთხოვნისთანავე მოხდეს უსასყიდლოდ (თქვენივე სახსრებით) დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობების დემონტაჟი.

აქვე გაცნობებთ: შენობა-ნაგებობის მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები:

• საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 3 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს არ შეიძლება კარის და ფანჯრის მოწყობა. შესაძლებელია მოეწყოს მინაბლოკი.
• სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე, მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექების მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში.
• საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 5 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს ხის მასალა უნდა იქნას დამუშავებული ცეცხლმედეგი ხსნარით.

• ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
• სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
• აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.